499.962.1
ა-988

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ახვლედიანი დიანა

ჩართული სიტყვები და გამოთქმები ახალ ქართულ სალიტერატურო ენაში

10. 02. 01 - ქართული ენა

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი დისერტაციის

ავტორეფერატი

თბილისი
2002

ნაშრომი შესრულებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი – ვახტანგ იმნაიშვილი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

ოფიციალური ოპონენტები – 1. ალექსანდრე ონიანი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი (10.02.01)

2. ნელი ცქიტიშვილი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა
კანდიდატი (10.02.01)

დისერტაციის დაცვა შედგება 2002 წლის "27" 02 14⁰⁰ საათზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის P10.01 №7 სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე.
მისამართი: 38 00 28, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი №1

დისერტაციის გაცნობა შეიძლება თსუ-ს სამეცნიერო ბიბლიოთეკაში.
მისამართი: 38 00 47, თბილისი, უნივერსიტეტის ქ., №2.

ავტორეფერატი დაიგზავნა 2002 წლის 25/I

სადისერტაციო საბჭოს
სწავლული მდივანი, ფილოლოგიის
მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი /გ. ი. წიბახაშვილი/

- 1813 -

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

<u>თემის აქტუალობა.</u> ჩართული ინტერესს იწვევს არა მარტო წმინდა მეცნიერული თვალსაზრისით, არამედ სასწავლო-მეთოდური თვალსაზრისითაც. ორივე მიმართებით იგი თითქოს კარგადაა შესწავლილი, მაგრამ სალიტერატურო ენის მონაცემებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ბევრი რამ ჯერ კიდევ მოითხოვს გაღრმავებულ კვლევას, ბევრ კითხვაზე კვლავ გასაცემია პასუხი. სადავოა ხშირად ისიც, თუ რა არის ჩართულად კვალიფიცირებული სიტყვა ან გამოთქმა — წინადადების ნამდვილი წევრია იგი, თუ განკერძოებული, დამოუკიდებელი ერთეული (ან — რთული წინადადების ნაწილი). კითხვის ქვეშ დგება ზოგიერთი ჩართული სიტყვისა და გამოთქმის წარმომავლობის საკითხიც. სალიტერატურო ენის ნორმების თვალსაზრისით, კვლავ დასაზუსტებელი ან დასადგენია პუნქტუაციის საკითხები და სხვ. ჩამოთვლილ და სხვა სადავო საკითხებზე მეტ-ნაკლებად სწორი პასუხის გასაცემად სასურველია ჩართული სიტყვებისა და გამოთქმების გამოყენებაზე დაკვირვება ქართული სალიტერატურო ენის განვითარების მთელ მანძილზე, აგრეთვე, ამ სიტყვა-გამოთქმების სტილისტიკური ფუნქციების დადგენა სალიტერატურო ენის სხვადასხვა ფუნქციური სტილის მიხედვით; ფუნქციის დადგენა ხელს შეუწყობს, ერთი მხრივ, ჩართულის რაობის (და წარმომავლობის) დაზუსტებას, მეორე მხრივ კი, პუნქტუაციის ნორმების დადგენას. სწორედ ამაში მდგომარეობს არჩეული თემის აქტუალობა.

<u>კვლევის მიზანი და ობიექტი.</u> სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი მიზანია ჩართული სიტყვებისა და გამოთქმების სტილისტიკურ-სემანტიკური (და სინტაქსური) ფუნქციების წარმოდგენა ახალ (და —განსაკუთრებით თანამედროვე) სამწერლო ენაში. დაკვირვების ძირითადი ობიექტი იყო ახალი ქართული მხატვრული პროზიდან და, ნაწილობრივ, პუბლიცისტური წერილებიდან ამოკრებილი ჩართული სიტყვებისა და გამოთქმების ნიმუშები. შევნიშნავთ, რომ ჩართულთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის უკეთ წარმოჩენის მიზნით, საილუსტრაციოდ გამოვიყენეთ აგრეთვე XIX ს. კლასიკოს მწერალთა (ილიას, აკაკის, ვაჟას) ნაწარმოებებიც.

<u>ძირითადი შედეგები.</u> მასალაზე დაკვირვების შედეგები შეიძლება საინტერესო იყოს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით.

<u>მეცნიერული სიახლეები.</u> ნაშრომში წარმოდგენილია ჩართულის სტილისტიკურ-სემანტიკური ფუნქციების შედარებით სრული ანალიზი. სემანტიკური ნიუანსების გათვალისწინებით კორექტივია შეტანილი ჩართულის გავრცელებულ კლასიფიკაციაში: ზოგიერთი ჩართული სიტყვა (და გამოთქმა) გადაჯგუფდა; გამოიყო ქვეჯგუფები. პირველად არის საგანგებოდ გამახვილებული ყურადღება ჩართული სიტყვებისა და გამოთქმების სემანტიკურ და სინტაქსურ ფუნქციათა მონაცვლეობაზე და ჩართულის ომონიმურ ბუნებაზე. ნაშრომის ერთ-ერთი სიახლეა ისიც, რომ ჩართულის ბუნებიდან გამომდინარე, გამოკვეთილად არის დასმული საკითხი ჩართული სიტყვებისა და გამოთქმების ფუნქციათა „სიტუაციური", ე.ი. სიტუაციის შესაბამისად განსაზღვრისა.

მასალის ანალიზის დროს გამოყენებულია აღწერითი და შედარებითი მეთოდები.

<u>ნაშრომის აპრობაცია.</u> დისერტაცია განიხილეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრის სხდომაზე (ოქმი №1) 2001 წლის 5 სექტემბერს. ნაშრომის ცალკეული თავები მოხსენებების სახით პერიოდულად წაკითხულია რესპუბლიკურ და ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო სესიებზე.

ნაშრომის ძირითადი დებულებების ამსახველი სტატიები და თეზისები გამოქვეყნებულია.

<u>მოცულობა და სტრუქტურა.</u> ნაშრომი შეიცავს კომპიუტერულ მანქანაზე ნაბეჭდ 142 გვერდს. შედგება შესავლისა და ოთხი თავისაგან. ერთვის დასკვნები და გამოყენებული ლიტერატურის სია.